



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “ქიძინიძე საქართველოს წინააღმდეგ”

(განაცხადი № 69852/01)

განჩინება

სტრასბურგი

2008 წლის 29 იანვარი

საბოლოო ვახდა
07/07/2008

წინამდებარე განჩინება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას

საქმეზე “ქიბინიძე საქართველოს წინააღმდეგ”,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

*ფრანსუა ზ ტულკენსი, თავმჯდომარე,
ანდრას ბაკა,
ირენეუ კაბრალ ბარეტო,
მინდია უგრეხელიძე,
ვლადიმერო ზაგრებელსკი,
დანუტე იოჩიენე,
დრაგოლიუბ პოპოვიჩი, მოსამართლეები
და სალი დოლე, სექციის რეგისტრატორი,*

განიხილა რა საქმე პალატის 2007 წლის 31 მაისისა და 2008 წლის 8 იანვრის სხდომაზე, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

პროცედურა

1. საქმის საფუძველს წარმოადგენს სასამართლოში, 2000 წლის 3 ნოემბერს, საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი განაცხადი (№69852/01), ამავე ქვეყნის მოქალაქის, *ბ-ნი ლევან ქიბინიძის* (“განმცხადებელი”) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (“კონვენცია”) 34-ე მუხლის შესაბამისად.

2. საქართველოს მთავრობა (“მთავრობა”) თანმიმდევრულად იყო წარმოდგენილი *ბ-ნი ლ. ჭელიძის, ქ-ნი თ. ბურჯალიანის, ქ-ნი ე. გურეშიძისა და ბ-ნი ს. პაპუაშვილის* მიერ, რომლებიც 2007 წლის სექტემბრიდან შეცვალა *ბ-ნმა დ. თომაცემ*, სახელმწიფო წარმომადგენელმა.

3. განმცხადებელი განსაკუთრებით ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ განიხილეს მის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (აჭარის ა/რ) ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ შეტანილი სარჩელები და აქედან გამომდინარე, ის პოლიტიკური დისკრიმინაციის მსხვერპლია.

4. 2005 წლის 13 სექტემბრისა და 2007 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებებით, პალატამ განაცხადი ნაწილობრივ დასაშვებად ცნო.

5. 2005 წლის 17 ოქტომბერსა და 16 ნოემბერს, როგორც განმცხადებელმა, ისე მთავრობამ, შესაბამისად, წარმოადგინეს დამატებითი წერილობითი მიმოხილვები (რეგლამენტის 59-ე მუხლი (§1)).

6. 2007 წლის 31 მაისს, პალატამ მთავრობას შესთავაზა, წარედგინა დამატებითი შენიშვნები კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების არსებით მხარესთან დაკავშირებით. მთავრობამ აღნიშნულზე 2007 წლის 28 სექტემბერს უპასუხა, თუმცა, მას შენიშვნები არ გაუკეთებია.

ფაქტები

1. საქმის გარემოებები

7. განმცხადებელი დაიბადა 1955 წელს საქართველოში და ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს.

8. განმცხადებელი ცხოვრობდა და მუშაობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, საქართველო (“აჭარის ა/რ”). 1995-1999 წლებში, ის საქართველოს პარლამენტის წევრი იყო.

9. იყო რა შპს “მარსი-91”-ის თანადამფუძნებელი და გენერალური დირექტორი 1991-1995 წლებში, ასევე, ხანმოკლე დროით - 1999 წელს, 1993 წლის განმცხადებელი დაიბარა *ა. აბაშიძემ*, აჭარის ა/რ მთავრობის მეთაურმა და რეგიონში შიმშილობისა და “სოციალური აფეთქების” თავიდან აცილების მიზნით, 4 500 ტონა ფქვილის შემოტანა დაავალა. იმპორტის ხელშეკრულება დაიდო 1993 წლის 25 ივნისს, “მარსი-91”-ის წარმოდგენელს – განმცხადებელსა და *ა. აბაშიძის* განკარგულებით, სახელმწიფო საწარმო “*აჭარის პურისა და მარცვლეული კულტურების პროდუქცია*”-ს შორის. ერთი ტონა ფქვილის ფასი 360 აშშ დოლარით განისაზღვრა. “მარსი-91”-მა მოკლე ვადაში შემოიტანა 3 671 ტონა ფქვილი.

10. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ფქვილის შემოტანისთანავე, *ა. აბაშიძემ* საქონლის კონფისკაცია მოახდინა, იმ მიზნით, რომ დაბალ ფასად გაეყიდა რესპუბლიკის პურის მაღაზიებში, რომლების წინაც მრავალი თვის მანძილზე დიდი რიგები იდგა და რასაც რამდენიმე კაცის სიკვდილიც მოჰყვა.

11. განმცხადებლის არაერთგზის პროტესტის შემდეგ, ბ-ნი *ა. აბაშიძის* განკარგულების თანახმად, “მარსი-91”-მა შეძლო, მიეღო შემოტანილი ფქვილის ღირებულების ნაწილი, თუმცა, *ა. აბაშიძემ* აიძულა განმცხადებელი, ამ თანხის ნაწილი გადაერიცხა მისი ფონდისა და პოლიტიკური პარტიის - “აღორძინება” ანგარიშებზე.

12. 1995 წლის 7 სექტემბრის განკარგულებით, აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭომ აღიარა ფქვილის იმპორტთან დაკავშირებული დავალიანების არსებობა და იკისრა ვალდებულება, “მარსი-91”-სათვის გადაეხადა 240 000 აშშ დოლარი. თუმცა, იმპორტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველადი დავალიანება და დავიანებით გამოწვეული საურავი, ანუ 495 049 ამერიკული დოლარი, შპს-ს არ ანაზღაურებია.

13. 1994 წლის 21 ოქტომბერს, *ა. აბაშიძემ* “მარსი-91”-ს 30 000 აშშ დოლარი გამოსძალა, რომლის “აღორძინები”-ს ანგარიშზე გადარიცხვა განმცხადებელმა იძულებით განახორციელა. 1995 წლის იანვრიდან მისამდე, *ა. აბაშიძემ* განმცხადებელს დაავალა ავტომანქანების შეძენა მისი პარტიის სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელებისთვის, რაც განმცხადებელმა შეასრულა.

14. 1999 წლის 16 დეკემბერს, ფინანსური მანიპულაციების ბრალდებით, აჭარის სამართალდამცავმა ორგანოებმა განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. მათი მტკიცებით, განმცხადებელმა, ფქვილის იმპორტის გადაუხდელობით გამოწვეული დეფიციტის დასაფარად, ბათუმის (აჭარის ა/რ დედაქალაქი) თამბაქოს ფაბრიკას 845 000 აშშ დოლარი გამოსძალა. განმცხადებელმა სასწრაფოდ დატოვა საქართველო და გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად.

ა) აჭარის ა/რ-ს უმაღლეს სასამართლოში შეტანილი სარჩელი

15. 2000 წლის 26 თებერვალს, განმცხადებელმა აჭარის ა/რ-ს უზენაეს სასამართლოში შეიტანა სარჩელი “მარსი-91”-ისა და თავისი სახელით - აჭარის ხელისუფლების მაღალჩინოსნების, მათ შორის, ა. აბაშიძის, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკისა და აჭარის სხვა სახელმწიფო დაწესებულებების წინააღმდეგ. მან წარადგინა 1999 წლის 4 დეკემბრის მინდობილობა, რომლითაც მას ეძლეოდა უფლება, ემოქმედა “მარსი-91”-ის სახელით. გარდა ამისა, განმცხადებელი ითხოვდა, რომ ფქვილის იმპორტიდან შემოსული თანხის (495 049 აშშ დოლარი), ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მითვისებული თანხების ანაზღაურებას საწარმოსთვისაც და პირადად მისთვისაც. მისი პრეტენზიები გამყარებული იყო შესაბამისი ციფრებით, არგუმენტებითა და სხვა მტკიცებულებებით.

16. გამომდინარე იქიდან, რომ მის სარჩელს რეაგირება არ მოჰყოლია, 2000 წლის 20 აპრილსა და 2001 წლის 31 ივლისს, განმცხადებელმა კვლავ მიმართა აჭარის ა/რ-ს უმაღლეს სასამართლოს იმავე მოთხოვნებით. განმცხადებელი ასევე უთითებდა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ხასიათის დისკრიმინაციას. ის მოითხოვდა აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. ვინაიდან აღნიშნული სარჩელიც უპასუხოდ დარჩა, ამან გააძლიერა განმცხადებლის ექვემდებარება სასამართლოს დამოუკიდებლობის თაობაზე, 2001 წლის 14 აგვისტოსა და 11 სექტემბერს, მან მოითხოვა საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემა.

17. აღნიშნულის საპასუხოდ, 2001 წლის 17 აგვისტოს, სასამართლომ შეატყობინა განმცხადებელს, რომ მისი საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემა შეუძლებელი იყო ვინაიდან 2001 წლის 26 მარტს, განმცხადებელს უარი ეთქვა შუამდგომლობის რეგისტრაციაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, განმცხადებელს - “მარსი-91”-ის დამფუძნებელს, არ გააჩნდა უფლებამოსილება, შპს-ს სახელით შეეტანა სარჩელი სასამართლოში, ვინაიდან “მეწარმეთა შესახებ” კანონის მე-9 მუხლი (§4) ასეთ უფლებამოსილებას დირექტორებს ანიჭებდა. ამასთან, აქვე აღინიშნა რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა წარმოადგენს არა სამოქალაქო სასამართლოს, არამედ საგამომიებო ორგანოების კომპეტენციას.

18. 2001 წლის 9 ნოემბერს, განმცხადებელმა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროცედურული საჩივარი შეიტანა. მან ხელახლა წარადგინა 1999 წლის 4 დეკემბრის მინდობილობა, რომელიც მას ნებას რთავდა, შპს „მარსი-91“ სახელით შეეტანა სარჩელი სასამართლოში. იმავდროულად, მან შეახსენა, რომ ჩიოდა არა მხოლოდ როგორც საზოგადოების დამფუძნებელი, არამედ, ასევე, როგორც კერძო პირი, ვინაიდან ის გახდა დევნისა და ფულის გამოძალვის მსხვერპლი ადგილობრივი რეჟიმის წარმომადგენლების, მათ შორის, ბ-ნი ა. აბაშიძის მხრიდან.

19. 2002 წლის 23 იანვარს, ა/რ უმაღლესმა სასამართლომ, განმცხადებლის პროცედურული სარჩელი დაუსაბუთებლად ცნო და საქმის მასალებთან ერთად, იგი განსახილველად საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა. (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლი).

20. 2002 წლის 23 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა 2001 წლის 26 მარტისა და 2002 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა აჭარის ა/რ უმაღლეს სასამართლოს. თავის გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თუკი 2001 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებაში

მოცემული დასკვნა განმცხადებლის მიერ შპს-ს სახელით, სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლების არქონის შესახებ დასაბუთებული იყო, ორი სადავო გადაწყვეტილებიდან აცერთი არ ასახავდა მოსამართლეთა დასაბუთებულ მსჯელობას განმცხადებლის მიერ, პირადად წამოყენებულ სხვა პრეტენზიებთან მიმართებაში.

21. 2002 წლის 15 ნოემბერს, აჭარის ა/რ უმაღლესმა სასამართლომ ხელახლა განიხილა საქმე და დაადგინა, რომ 2002 წელს, განმცხადებლის წინააღმდეგ საქმე სწორედ მის სარჩელში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით აღიმრა. გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებელი არ იმყოფებოდა ქვეყანაში, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს თანახმად, გამოძიების დასრულებამდე შეუძლებელი იყო მის სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება.

22. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს 2001 წლის 28 სექტემბრის წერილიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ თარიღამდე, განმცხადებელმა ბ-ნი ა. აბაშიძის ქმედებები საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გასაჩივრა. საქართველოს გენერალური პროკურატურის 2002 წლის 23 ივნისის წერილის თანახმად, 1999 წლის ნოემბრის შემდეგ, განმცხადებელმა ამ ორგანოს ანალოგიური საჩივრებით 23-ჯერ მიმართა და ასაჩივრებდა აჭარის ხელისუფლების ორგანოების ქმედებებს. იდენტური განცხადება, რომელიც ეხებოდა აჭარის მთავრობის უკანონო ქმედებებს. აღნიშნული საჩივრები განსახილველად გადაეგზავნა აჭარის ა/რ პროკურატურას, თუმცა ამას არანაირი გაგრძელება არ მოჰყოლია.

ბ) ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეტანილი სარჩელი

23. 2000 წლის ოქტომბერში განმცხადებელმა ა. აბაშიძის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა ქ. ბათუმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განცდილი მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

24. 2001 წლის 7 მარტის განკარგულებით, ამ სარჩელის განხილვაზე განმცხადებელს უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მან არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი. მას მიეცა 10 დღის ვადა აღნიშნული ბაჟის გადასახდელად. აღნიშნული გადაწყვეტილება განმცხადებელს არ ეცნობა, მან ამის თაობაზე მხოლოდ 2001 წლის 6 მაისს შეიტყო, როდესაც დარეკა სასამართლოში საქმის მდგომარეობასთან დაკავშირებული ახალი ამბების გასაგებად.

25. 2001 წლის 7 მაისს, განმცხადებელმა, სახელმწიფო ბაჟის სახით, საქართველოს ეროვნული ბანკის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხა 520 ლარი. ამ გადარიცხვის ქვითარი საქმის მასალებში ინახება. განმცხადებელმა აღნიშნული ქვითარი, პროცესის განახლების მოთხოვნასთან ერთად, სასამართლოს წარუდგინა, მაგრამ მისი სარჩელი არ განხილულა.

გ) განმცხადებლის წინააღმდეგ წარმოებული სისხლისსამართლებრივ პროცედურებთან დაკავშირებით

26. 2002 წლის 16 აგვისტოს აჭარის სახელმწიფო ორგანოებმა მიიჩნიეს, რომ განმცხადებლის განუწყვეტელი საჩივრები წარმოადგენდა ცილისწამებასა და სიცრუეს (იხ. §§ 15, 22 და 23 ზემოთ) ბ-ნი ა. აბაშიძის მიმართ (სსკ-ის 148-ე და 373-ე მუხლები) და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღმრეს. 2002 წლის 27 აგვისტოს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ განმცხადებელს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. 2002 წლის 31

დეკემბერს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გერმანიის მთავრობას განმცხადებლის ექსტრადიციის თხოვნით მიმართა. საქმის მასალებიდან არ ირკვევა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას რაიმე შედეგი მოჰყვა, ვინაიდან განმცხადებელი გერმანიაში ლტოლვილის სტატუსით სარგებლობდა.

27. „ვარდების რევოლუციისა“ და ეროვნულ დონეზე ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2004 წლის აპრილში, აჭარის ა/რესპუბლიკაში ბ-ნი ა. აბაშიძის რეჟიმი დაემხო. ბ-ნი ა. აბაშიძე ქვეყნიდან გაიქცა და რუსეთის ფედერაციაში დასახლდა.

28. 2004 წლის 3 მაისს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შეწყვიტა განმცხადებლის მიმართ 2002 წლის 16 აგვისტოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე იმ მოტივით, რომ ყოფილი პარლამენტარს წინააღმდეგ საქმის აღძვრა მხოლოდ საქართველოს გენერალური პროკურორის მიერაა შესაძლებელი. 2004 წლის 8 მაისს, ასევე გაუქმდა განმცხადებლისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილება. 2005 წლის 8 ოქტომბერს, აღნიშნული საქმის გამოძიება შეწყდა.

29. 2005 წლის 8 ოქტომბერს, განმცხადებლის წინააღმდეგ, 1999 წლის 16 დეკემბერს აღძრული სისხლის სამართლის საქმე (იხ. §14 ზემოთ) განმცხადებლის ქმედებაში „დანაშაულის ნიშნების არარსებობის“ მოტივით შეწყდა. გარდა ამისა, დადგინდა, რომ აღნიშნულ საქმეზე სისხლის სამართლებრივი დევნა ჯერ კიდევ 1999 წლის 16 დეკემბერს დაიწყო.

II. შესაბამისი ეროვნული სამართალი

30. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

ამ კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო ბაჟი გადახდილ უნდა იქნას პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში სარჩელის შეტანისას. ამავე კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო დაადგენს სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევას, იგი არ განიხილავს საქმეს და მოსარჩელეს უნიშნავს მისი გადახდის ვადას. თუ მოსარჩელე არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას, სასამართლო მის სარჩელს არ განიხილავს და უბრუნებს მას უკან.

მუხლი 279

„სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება შემდეგ შემთხვევებში: (. . .)

დ) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.“

მუხლი 417

„სასამართლო იღებს სარჩელს, თუ ჩათვლის, რომ ის დასაშვებია და დასაბუთებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ხუთი დღის ვადაში მან ეს სარჩელი, თანდართული საბუთებით, უნდა გადასცეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს“.

სამართალი

1. კონვენციის მე-6 მუხლის (§1) სავარაუდო დარღვევა

31. განმცხადებელი თვლის, რომ აჭარის ა/რ სასამართლოების მიერ მისი სარჩელების განუხილველობა წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლით (§1) გარანტირებულ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას. აღნიშნული მუხლის დებულება შემდეგნაირად იკითხება:

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.”

1. მხარეთა არგუმენტები

32. თავის პირველად მიმოხილვაში სახელმწიფომ არ წარმოადგინა ზუსტი პასუხები სასამართლოს კითხვებზე. ის შემოიფარგლა იმით, რომ ეჭვი შეიტანა მოსარჩელეს მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ფაქტში მისი 2000 წლის ოქტომბრის სარჩელის განხილვისას ბათუმის სასამართლოს მიერ. მან ჩათვალა, რომ მთლიანობაში, სარჩელი არ იყო დასაბუთებული.

33. განმცხადებელი შეეწინააღმდეგა აღნიშნულ არგუმენტს და ხაზი გაუსვა იმას, რომ 2001 წლის 7 მაისს, მან გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 2001 წლის 7 მარტის განკარგულების თანახმად და შეატყობინა რა ამის შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მან საქმის განახლება მოითხოვა.

2. სასამართლოს შეფასება

34. სასამართლო აღნიშნავს, წინამდებარე საქმეში, დავის საგას წარმოადგენს მხოლოდ განმცხადებლის, როგორც კერძო პირის მიერ, აჭარის უმაღლესი სასამართლოს წინაშე 2000 წლის 26 თებერვალს წამოყენებული პრეტენზიებისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოში, 2000 წლის ოქტომბერში შეტანილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში განუხილველად დატოვება. კონვენციის მე-6 მუხლის (§1) საფუძველზე წამოყენებული დანარჩენი პრეტენზიები, 2007 წლის 31 მაისს დაუშვებლად იქნა ცნობილი. (იხ. §4 ქვემოთ).

ა) 2000 წლის 26 თებერვლის სარჩელთან დაკავშირებით

35. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2000 წლის 26 თებერვლის სარჩელში, გარდა „მარსი-91“-ის დავალიანების ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრეტენზიისა, განმცხადებელმა ასევე მოითხოვა, რომ აჭარის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს აენაზღაურებინათ სხვადასხვა თანხები, რომლებიც მას პირადად გამოსძალეს (იხ. §§ 15, 18 და 20 *in fine* ზემოთ).

აღნიშნულის დასადასტურებლად, მან წარადგინა ციფრებში გამოხატული სხვადასხვა მტკიცებულება, რათა დაემტკიცებინა, რომ იგი პირადად გახდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებების მსხვერპლი.

36. 2001 წლის 26 მარტისა და 2002 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებებით, აჭარის უმაღლესმა სასამართლომ სრულად უარყო განმცხადებლის, როგორც კერძო პირის, პრეტენზიები და მის არცერთ არგუმენტს არ უპასუხა. აღნიშნული ხარვეზი გამოავლინა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც, 2002 წლის 23 სექტემბერს, საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა (იხ. §20 ზემოთ). თუმცა, 2002 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით, აჭარის უმაღლესმა სასამართლომ შეწყვიტა საქმის განხილვა, იმ მოტივით, რომ „*განმცხადებლის წინააღმდეგ საქმე აღიძრა მის სარჩელში აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით.*“

37. საქმიდან ირკვევა, რომ 1999 და 2002 წლებში, აჭარის ხელისუფლებამ განმცხადებლის წინააღმდეგ მართლაც წამოიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა (იხ. §§ 14 და 26 ზემოთ). თუმცა საქმის აღძვრის შესახებ აღნიშნული გადაწყვეტილებები გაუქმდა როგორც აშკარად კანონსაწინააღმდეგო, აჭარის ა/რ ადგილობრივი რეჟიმის დამხობის შემდეგ. ამგვარად, იმის დაშვებითაც კი, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ აშკარად უკანონო სისხლისსამართლებრივმა დევნამ, სსსკ-ის 279-ე მუხლის თანახმად, გამოიწვია საქმის განხილვის შეჩერება, აჭარის უმაღლეს სასამართლოს საქმის ხელახალი განხილვა უნდა დაეწყო ყველაზე ადრე 2004 წლის 3 მაისს და ყველაზე გვიან - 2005 წლის 8 ოქტომბერს (იხ. §§ 28 და 29 ზემოთ).

38. თუმცა, დღესდღეობით მხარეების მიერ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი ინფორმაციების მიხედვით, აღნიშნულ სასამართლოში საქმე კვლავ განუხილველი რჩება, ისე, რომ რაიმე გადაწყვეტილება, თუნდაც პროცესუალური, არ ყოფილა მიღებული. მთავრობას აღნიშნული უმოქმედობის არავითარი ახსნა-განმარტება ან დასაბუთება არ წარმოუდგენია.

39. წინამდებარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული უმოქმედობა წარმოშობს უფრო პროცესის ხანგრძლივობის პრობლემას, ვიდრე განმცხადებლის მიერ დაყენებულ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის პრობლემას. შესაბამისად, სასამართლო პრეტენზიის ამ ასპექტს განიხილავს დაინტერესებული პირის უფლების კუთხით, მისი საქმე „*გონივრულ ვადაში*“, კონვენციის მე-6 მუხლის (§1) მოთხოვნების შესაბამისად იქნას განხილული (*კამენზინდი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1997 წლის 16 დეკემბრის განჩინება, განჩინებებისა და გადაწყვეტილებების კრებული 1997-VIII, გვ. 2895-2896, § 50; *მამავეი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ*, №36378/02, §436, CEDH 2005-III).

40. პროცესის ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასება კონკრეტული საქმის ფაქტებისა და ევროსასამართლოს პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად ხდება, კერძოდ, გასათვალისწინებელია საქმის სირთულე, განმცხადებლისა და კომპეტენტური ორგანოების ქმედებები, აგრეთვე დავის მიზანი განმცხადებლისთვის (იხ. ბევრ სხვას შორის, *კრიზი ჩეხეთის წინააღმდეგ*, №26634/03, §72, 2007 წლის 9 იანვარი).

41. ამ შემთხვევაში, ევროსასამართლო არ თვლის, რომ განმცხადებლის საქმე რაიმე განსაკუთრებულ სირთულეს უკავშირდება ან რომ გერმანიაში მცხოვრებმა განმცხადებელმა არ გამოიჩინა სასურველი გულმოდგინება. პირიქით, ევროსასამართლო თვლის, რომ აჭარის უმაღლესი სასამართლოს უმოქმედობას არავითარი გამართლება არა აქვს.

42. შესაბამისად, ადგილი აქვს კონვენციის მე-6 მუხლის (§1) დარღვევას.

ბ) ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით

43. სასამართლო შეახსენებს მის პრაქტიკას, რომლის თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლი (§1) ითვალისწინებს „სასამართლოს უფლებას“, რომლის მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს ხელმისაწვდომობა, კერძოდ, სასამართლოსთვის სამოქალაქო სარჩელით მიმართვის უფლება (*გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1975 წლის 21 თებერვლის განჩინება, სერია A №18, გვ. 18, §36). ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტურობა მოითხოვს, რომ პირს ჰქონდეს მის უფლებებში ჩარევის აქტის გასაჩივრების აშკარა და კონკრეტული შესაძლებლობა (*ბენეფიჩიო კაპპელა პოლინი სან-მარინოს წინააღმდეგ*, № 40786/98, §§ 29 და 30, CEDH 2004-VIII (ამონარიდები)).

44. წინამდებარე საქმეში, 2000 წლის ოქტომბერში, განმცხადებელმა სარჩელი შეიტანა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, რომლითაც ის ითხოვდა, რომ აჭარის ადმინისტრაციული ხელისუფლების ხელმძღვანელს აენაზღაურებინა მისთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანი. სარჩელის განსამტკიცებლად, მან სხვადასხვა მტკიცებულებები წარადგინა.

45. 2001 წლის 7 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმე არ განიხილებოდა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლი) და განმცხადებელს მისცა დრო ამ ხარვეზის გამოსასწორებლად მისთვის აღნიშნული გადაწყვეტილების შეტყობინების გარეშე. განმცხადებელმა აღნიშნულის თაობაზე შეიტყო 2001 წლის 6 მაისს. მან მეორე დღესვე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი და სარჩელის განხილვის განახლება მოითხოვა. თუმცა, აღნიშნულს არავითარი პასუხი არ მოჰყოლია.

46. მთავრობას არ წარმოუდგენია არავითარი არგუმენტი, რათა განემარტა ან გაემართლებინა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ეს უყურადღებობა. დააყენა რა ეჭვქვეშ, პროცესის საწყის ეტაპზე და შესაბამისი მტკიცებულების გარეშე, განმცხადებლის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდა (იხ. §32 ზემოთ). სახელმწიფოს არასოდეს გაუსაჩივრებია განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის მტკიცებულების ნამდვილობა. შესაბამისად, სასამართლოს არავითარი მიზეზი არა აქვს, ეჭვქვეშ დააყენოს აღნიშნული დოკუმენტის ნამდვილობა.

47. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს არაპირდაპირი უარი, განიხილოს განმცხადებლის სარჩელი, ფასდება როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა, რომელმაც ზიანი მიაყენა კონვენციის მე-6 (§1) მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების არსს. შესაბამისად, ადგილი აქვს ამ დებულების დარღვევას.

II. კონვენციის 13 და 14 მუხლების სავარაუდო დარღვევა

48. ეყრდნობა რა კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლებს, განმცხადებელი ასაჩივრებს ეროვნულ დონეზე მიმართვის ეფექტიანი საშუალების არქონას და მიიჩნევს, რომ მისი

სარჩელების განხილვა სისტემატიურად იყო უარყოფილი აჭარის ა/რ ადგილობრივ ორგანოებთან მისი დაპირისპირების გამო.

49. თავის პირველად მიმოხილვასა და 2007 წლის 28 სექტემბრის პასუხში, მთავრობა აღნიშნულ საკითხებს არ შეხებია (იხ. §6 ზემოთ).

50. თუმცა, კონვენციის 6-ე მუხლის (§1) თაობაზე მისი დასკვნების გათვალისწინებით (იხ. §§ 42 და 47 ზემოთ), სასამართლო არ თვლის, რომ კონვენციის 13 მუხლის კუთხით განსხვავებული საკითხი წამოიჭრება.

51. რაც შეეხება კონვენციის მე-14 მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიას, სასამართლო ადგენს, რომ ამ კუთხით განმცხადებელი ზოგადი მტკიცებით შემოიფარგლა და დისკრიმინაციის არავითარი მტკიცებულება არ ყოფილა წარმოდგენილი. შესაბამისად, კონვენციის მე-14 მუხლის არავითარ დარღვევას არ ჰქონია ადგილი.

III. კონვენციის 41 მუხლის გამოყენება

52. კონვენციის 41 მუხლის თანახმად

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

ა. ზიანი

ა) მხარეთა არგუმენტები

53. განმცხადებელი მოთხოვს, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით, სახელმწიფომ მას გადაუხადოს მისი კუთვნილი წილი 495 049 ამერიკული დოლარის ოდენობის დავალიანებიდან, რომელიც აჭარის ადგილობრივ ორგანოებს შპს „მარს-91“-ის მიმართ აქვთ (იხ. §15 ზემოთ).

54. გარდა ამისა, განმცხადებელი თვლის, რომ სახელმწიფომ ასევე უნდა აანაზღაუროს მისი გერმანიაში გადასახლებით გამოწვეული მატერიალური ზიანი. კერძოდ, საქმე ეხება შემდეგ თანხებს: დაახლოებით 165 336 ევრო, დახარჯული გადასახლებაში მისი ოჯახის საჭიროებებისთვის (ბინის ქირა, გაზის, ელექტროენერჯის, წყლის გადასახადები, სამედიცინო ხარჯები და ა.შ.); დაახლოებით 31 363 ევრო, რომელსაც განმცხადებელი, როგორც ყოფილი პარლამენტარი პენსიის სახით მიიღებდა, იძულებული რომ არ ყოფილიყო, ოჯახთან ერთად დაეტოვებინა საქართველო და 200 000 ევრო, რომელიც მან ვალად აიღო საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრების დასაცავად. აღნიშნული მოთხოვნების გასამყარებლად, განმცხადებელმა წარმოადგინა ბინის ქირისა და სხვადასხვა ხარჯების, ასევე გაზის, ელექტროენერჯისა და წყლის ქვითრები და ა.შ.

55. მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, განმცხადებელი ითხოვს 100 მილიონ ამერიკულ დოლარს. ის განმარტავს, რომ იყო აჭარის ა/რ-ის, კერძოდ ბ-ნი ა. აბაშიძის კორუმპირებული რეჟიმის მსხვრპლი და დევნილი, რომ ის იძულებული იყო, დაეტოვებინა

საქართველო თავის ოჯახთან ერთად და თავი შეეფარებინა გერმანიისათვის. მისი სხვადასხვა სარჩელი და საჩივარი არასდროს განხილულა ეროვნული სასამართლოებისა და ორგანოების მიერ. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ დაცვის არარსებობამ მისი ღირსება შელახა და მას და მის ოჯახს დიდი ტანჯვა მიაყენა.

56. მთავრობა თვლის, რომ ამ შემთხვევაში, არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი გასაჩივრებულ დარღვევებსა და მოთხოვნილ თანხებს შორის და რომ ამასთანავე, მოთხოვნილი თანხები გადაჭარბებულია. მთავრობა დამატებით არნიშნავს, რომ განმცხადებელი, იყო რა სისხლისსამართლებრივი დევნის ობიექტი, არ უნდა დამალვოდა მართლმსაჯულებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ოჯახის გერმანიაში წაყვანა აუცილებლობას არ წამოადგენდა. მთავრობა აზუსტებს, რომ 2005 წლიდან მოყოლებული, განმცხადებელი ძებნაში აღარ არის და რომ მისი გვარი არ ფიგურირებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან ინტერპოლის მიერ ძებნილ პირთა სიაში.

ბ). სასამართლოს შეფასება

57. სასამართლო თვლის, რომ განმცხადებლის მიერ, მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით მოთხოვნილი არცერთი თანხა (იხ. §§ 53 და 54 ზემოთ) არ გამოხატავს დადგენილი დარღვევების შედეგად პირდაპირ განცდილ ზიანს (იხ., სხვათა შორის, *ალბინა რუმინეთის წინააღმდეგ*, №57808/00, §47, 2005 წლის 28 აპრილი). შესაბამისად, სასამართლო ამ საფუძველით არავითარ თანხას არ მიაკუთვნებს.

58. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, სასამართლო თვლის, რომ აჭარის ა/რ-ის უმაღლეს სასამართლოში სადავო პროცესის გაგრძელებამ გონივრული ვადის მიღმა, ისევე, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმამ, რაშიც ბათუმის საქალაქო სასამართლოა დამნაშავე, განმცხადებლისთვის გარკვეული უსიამოვნება და ხანგრძლივი გაურკვეველობა ნამდვილად გამოიწვია. აღნიშნული გაურკვეველობის მდგომარეობა ამართლებს თანხის მიკუთვნებას.

59. შესაბამისად, მოქმედებს რა სამართლიანობის პრინციპით, როგორც ამას კონვენციის 41-ე მუხლი მოითხოვს, სასამართლო განმცხადებელს მიაკუთვნებს 4 400 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს.

ბ. ხარჯები და დანახარჯები

60. განმცხადებელი ითხოვს 20 000 ევროს ანაზღაურებას, რომელიც მისივე მტკიცებით, მან დახარჯა 2000 წლის იანვრიდან 2005 წლის ოქტომბრამდე ადვოკატების კონსულტაციებზე, საბუთების თარგმანზე, მგზავრობაზე და ა.შ. ამის დასადასტურებლად, მან წარმოადგინა სხვადასხვა საფოსტო გზავნილების ქვითრები, რომლებსაც იღებდა სწრაფი გზავნილით ან რომელსაც გზავნიდა საქართველოში, აგრეთვე ფულადი გზავნილების ქვითრები, რომელთა მეშვეობითაც დასტურდება, რომ მან საქართველოდან, სხვადასხვა პირებისგან მიიღო თანხები. განმცხადებელმა ასევე წარმოადგინა ხელმოწერილი წერილები, რომლებიც ადასტურებს, რომ 2002-2004 წლებში, მან გერმანიაში, კერძო პირებისგან

სხვადასხვა დროს ისეხა დაახლოებით 49 000 ევრო და მათ დაპირდა, რომ დაუბრუნებდა აღნიშნულ თანხას *“როგორც კი სტრასბურგის სასამართლოში საქმე დამთავრდებოდა”*.

61. მთავრობას აღნიშნულ საკითხზე არავითარი საგანგებო კომენტარი არ გაუკეთებია. მან მიიჩნია, რომ მთლიანობაში, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი თანხები გადაჭარბებულია.

62. სასამართლო შეახსენებს მისსავე პრაქტიკას, რომლის თანახმად, ხარჯების ანაზღაურება მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როდესაც ისინი აუცილებელად და რეალურად იქნა გაწეული კონვენციის დარღვევად მიჩნეული ფაქტის გამოსწორების ან პრევენციის მიზნით (იხ., სხვათა შორის, *დონადე საქართველოს წინააღმდეგ*, № 74644/01, §48, 2006 წლის 7 მარტი). გარდა ამისა, სასამართლოს რეგლამენტის მე-60 მუხლი (§2) ითვალისწინებს, რომ კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე წამოყენებული ნებისმიერი პრეტენზია უნდა იყოს დაანგარიშებული, რუბრიკებად დაყოფილი და აუცილებელი მტკიცებულებებით გამყარებული, რის გარეშეც სასამართლოს შეუძლია, მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოს მოთხოვნა (*სვიპსტა ლატვიის წინააღმდეგ*, № 66820/01, § 170, RFDH 2006-...(ამონარიდები)).

63. ამ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არცერთი დოკუმენტი არ ადასტურებს, რომ წინამდებარე საქმის მიზნებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელმა ნამდვილად გასწია 20 000 ევროს ოდენობის ხარჯები და დანახარჯები. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ მან ფული საქართველოდან მიიღო ან რომ გერმანიაში კერძო პირებისგან ისეხა ევროსასამართლოში საქმის დასრულებისთანავე დაბრუნების პირობით, ყოველგვარი დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე, საერთოდ არ ადასტურებს იმას, რომ ნასესხები თანხა ნამდვილად წინამდებარე საქმის მიზნებისთვის გაწეულ ხარჯებს მოხმარდა. იგივე ეხება საფოსტო გზავნილებს, ვინაიდან წარმოდგენილი ქვითრები არანაირად არ ადასტურებს მათ კავშირს წინამდებარე განაცხადთან.

64. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმემ სათავე დაუდო წერილობითი მიმოხილვების სამ სერიას და რომ განმცხადებელს, რომელიც თავად იცავდა თავს, ყოველ ჯერზე უწევდა მრავალგვერდიანი დოკუმენტებისა და შესაბამისი მტკიცებულებების თარგმნა. შესაბამისად, მას აუცილებლად მოუწევდა აღნიშნული პროცედურებისთვის ხარჯის გაღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, სასამართლო მას მიაკუთვნებს 500 ევროს, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს.

გ) საურავი

65. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო, ერთხმად:

1. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 6 მუხლის (§1) დარღვევას, აჭარის ა/რ უმაღლეს სასამართლოში საქმის განხილვის გაჭიანურების გამო;

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 6 მუხლის (§1) დარღვევას ბათუმის საქალაქო სასამართლოში განმცხადებლის მიერ, 2000 წლის ოქტომბერში შეტანილი სარჩელის განუხილველობის გამო;

3. ადგენს, რომ არცერთი განცალკევებული საკითხი არ დასმულა კონვენციის მე-13 მუხლის კუთხით;

4. ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას;

5. ადგენს, რომ

ა) მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს 4.400 ევრო (ოთხი ათას ოთხასი) ევრო მორალური ზიანისათვის, და 500 ევრო (ხუთასი) ევრო გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

ბ) აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი ;

6. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ფრანგულ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2008 წლის 29 იანვარს, რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სალი დოლე
სექციის რეგისტრატორი

ფრანსუაზ ტულკენსი
თავმჯდომარე